



**პოლიგრაფისტი (დამკაბადონებელი, მბეჭდავი, მკინძავი, ფერდაშლის სპეციალისტი და ა.შ.)
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: პოლიგრაფისტი (დამკაბადონებელი, მბეჭდავი, მკინძავი, ფერდაშლის სპეციალისტი და ა.შ.)

II. პროფესიული განათლების საფეხური: მეოთხე

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: პოლიგრაფისტის (დამკაბადონებელი, მბეჭდავი, მკინძავი, ფერდაშლის სპეციალისტი და ა.შ.) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25სთ), სულ 1500 საათი.

აქედან: 36 კრედიტი (900 საათი) სასწავლო კომპონენტისთვის (საკონტაქტო საათი - 420

დამოუკიდებელი -424; შუალედური/დასკვნითი შეფასება - 56)

24 კრედიტი (600 საათი) პრაქტიკის კომპონენტისთვის (საკონტაქტო - 600სთ)

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: მეოთხე საფეხურზე დაიშვებიან პირები ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის შედეგებისა და პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების საფუძველზე, ან აქვთ ამავე სპეციალობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის დიპლომი.

VI. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს მეოთხე საფეხურის პოლიგრაფისტი (დამკაბადონებელი, მბეჭდავი, მკინძავი, ფერდაშლის სპეციალისტი და ა.შ.), რომელსაც შეუძლია სხვისი მეთვალყურეობით მარტივი პოლიგრაფიული ამოცანების გადაწყვეტა.

VII. სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება	იცნობს პოლიგრაფიული წარმოებისათვის საჭირო ტექნიკურ და ტექნოლოგიურ პროცესებს. იცის ტექსტების მიხედვით შრიფტების შერჩევა, ფორმატირება, დაკაბადონება, ფერადი სახვითი ორიგინალების აღწარმოება, სარეკლამო და პოლიგრაფიული პროდუქციის ორიგინალ _ მაკეტების მოდელირება და კონსტრუირება.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია საბეჭდი ფორმის ვიზუალური Eშეფასება, საბეჭდი და სახარვეზო ელემენტების მოვლა, ხარისხის კონტროლი, მუარის თავიდან აცილება, ფერებად დაშლილი შკალების ვიზუალური წაკითხვა და შეფასება.
დასკვნის უნარი	პოლიგრაფიული მანქანების მოწყობილობების მუშაობის, ასევე ნაბეჭდი პროდუქციის კონსტრუირების პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების შეფასება და ოპერატიულად გადაწყვეტილების მიღება. დამოუკიდებლად ოპტიმალური პოლიგრაფიული მასალების და მანქანების შერჩევა, კონკრეტული ორიგინალის სახეობის მიხედვით.
კომუნიკაციის უნარი	აქვს უნარი აწარმოოს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მედია-პოლიგრაფიასთან დაკავშირებულ საკითხებზე. აქვს უნარი გარკვეულ სიტუაციებში დამოუკიდებლად აითვისონ ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და დაამუშაონ პოლიგრაფიასთან დაკავშირებული ინფორმაცია უცხოურ ენაზე.
სწავლის უნარი	აქვს უნარი პოლიგრაფიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მოძიების, დამუშავების და ანალიზის.
ღირებულებები	აქვს უნარი კონკრეტულ სიტუაციებში იმოქმედოს მედია-პოლიგრაფიულ საქმიანობისათან დაკავშირებული ეთიკური და საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად. პასუხისმგებლობით ეკიდება გარემოს დაცვის საკითხებს, გააჩნია საკუთარი შრომის ორგანიზების უნარი.

VIII. სწავლის შედეგების რუკა

საგნები	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
პოლიგრაფიული მანქანები და მოწყობილობები		X	X		X	X
ნაბეჭდი პროდუქციის კონსტრუირება	X			X	X	
ბეჭდვითი ნაწარმის ტექნოლოგია		X			X	X
საგამომცემლო გრაფიკული სისტემები	X		X			
მეწარმეობის საფუძვლები		X		X		X
ინგლისური ენა	X	X		X		
ინფორმატიკა	X	X			X	

IX. სასწავლო გეგმა

ს ა გ ნ ე ბ ი	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა					სულ საათების რაოდენობა	
		საკონტაქტო საათები						
		ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		დამოუკიდებელი საათები
ინფორმატიკა	5	60				8	57	125
უცხო ენა (ინგლისური)	5	60				8	57	125
მეწარმეობის საფუძვლები	5	30/30				8	57	125
პოლიგრაფიული მანქანები და მოწყობილობები	16	45			300	8	47	400
ნაბეჭდი პროდუქციის კონსტრუირება	5	60				8	57	125
ბეჭდვითი ნაწარმის ტექნოლოგია	16	45			300	8	47	400
საგამომცემლო გრაფიკული სისტემები	8	90				8	102	200
სულ	60	420			600	56	424	15000

X. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- საწარმოო პრაქტიკას
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას.

XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტი;
- ზეპირი გამოკითხვა;
- ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი
- დაკვირვება და დემონსტრირება.

XII. სწავლების მეთოდები:

თეორიული სწავლება;

პრაქტიკული მეცადინეობა;

საწარმოო პრაქტიკა.

XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების მეოთხე ან მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
2. მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
პოლიგრაფიული მანქანები და მოწყობილობები	ჯუმბერ უფლისაშვილი ნინო ზედელაშვილი	დოქტორი პოლიგრაფიის ტექნოლოგი.
ნაბეჭდი პროდუქციის კონსტრუირება	მანანა ყიფშიძე	დიზაინერ კონსტრუქტორი
ბეჭდვითი ნაწარმის ტექნოლოგია	ნია ნათბილაძე ლია ლომიძე	დოქტორი პოლიგრაფიის ტექნოლოგი.
საგამომცემლო გრაფიკული სისტემები	ირინე უგრეხელიძე თეა ბარამაშვილი	დოქტორი პოლიგრაფიის ტექნოლოგი.
მეწარმეობის საფუძვლები	იუნონა მარგალიტაძე	დოქტორი
ინგლისური ენა	თამარ ლოლუა	მასწავლებელი
ინფორმატიკა	მზინა ნიჭარაძე	მასწავლებელი

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:

პოლიგრაფისტის (დამკაბადონებელი, მბეჭდავი, მკინძავი, ფერდაშლის სპეციალისტი და ა.შ.) პროფესიული სწავლებისათვის განკუთვნილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა I კორპუსში.

XV. საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა

საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება:

შ.პ.ს. გამომცემლობა „საქართველო“-ხელშეკრულება. 15.09. 2011.

შ.პ.ს სტამბა „სეზანი“- ხელშეკრულება. 21.02. 2011.

იხ. დანართი

XVI. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

პოლიგრაფისტის (დამკაბადონებელი, მბეჭდავი, მკინძავი, ფერდაშლის სპეციალისტი და ა.შ.) მეოთხე საფეხურის პროგრამის წარმატებულად დამთავრების შემდეგ, სტუდენტს საშუალება ეძლევა გააგრძელოს სწავლა პოლიგრაფისტის (დამკაბადონებელი, მბეჭდავი, მკინძავი, ფერდაშლის სპეციალისტი და ა.შ.) მეხუთე საფეხურის პროგრამით.